MES 2 23 0001315372

06/10/2023

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;

თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;

გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;

ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;

პეტრე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;

მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;

ზვიად გოგუაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;

მორის დანდურიშვილი - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, საბჭოს წევრი;

ეკატერინე კვირიკაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;

ნატო გაბოშვილი - „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერი პროგრამის მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;

შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნინო ცხოვრებაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ნათია კვირიკაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მთავარი სპეციალისტი;
გვანცა ნინიძე -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნია გრიგალაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის უფროსი სპეციალისტი;
მარი მგელაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის უფროსი სპეციალისტი;
თეა ლილუაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის უფროსი სპეციალისტი;
ქეთევან კევლიშვილი -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.
გვანცა მეტრეველი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მთავარი სპეციალისტი;
საბა ელაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მთავარი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წილკნის საჯარო სკოლა:
დიანა გელიტაშვილი - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
სსიპ - ზაზა ბირთველიშვილის სახელობის ქალაქ გორის N7 საჯარო სკოლა:
ნოდარ იარღანაშვილი - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
სსიპ - ცხრა ძმა ხერხეულიძის სახელობისთეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ მარაბდის საჯარო სკოლა:
თამრიკო ფიჩხულაშვილი - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
სსიპ - რევაზ მუმლაძის სახელობის ქალაქ ზესტაფონის N7 საჯარო სკოლა:
მარეხი ქათამაძე - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ დილიკაურის საჯარო სკოლა:
თეა ბერაძე - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
ა(ა)იპ - თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღი:
მანანა ჯავაშვილი - სასწავლო პროცესის კოორდინატორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტ ები):

სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წილკნის საჯარო სკოლა:

ა) მაია ბუაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ეკატერინე წიფურია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) დემეტრე ნარსია (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) მაია მენაბდე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ია გაგნიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) მეგი ტალახაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ირაკლი ქობალია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ლილი კაცაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ნათია კოხოძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) დავით კიკაბიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ლია ნეფარიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ზაზა ბირთველიშვილის სახელობის ქალაქ გორის N7 საჯარო სკოლა:

ა) ირინა დვალი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ლიკა გიორგაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ირმა ქურდაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) თეონა შუბლაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნინო ბურჯანაძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ნატო შაინიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ოლიკო კილაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ნინო ჯახველაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ნატო გერგაია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) მარინა ანესაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ქეთევან ცირეკიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ცხრა ძმა ხერხეულიძის სახელობის თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ მარაბდის საჯარო სკოლა:

ა) მედეა ქოქრაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ანა კვიჟინაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ლელა გორდულაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) კახა გალდავა (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ანჟელა აბულაძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) სალომე არაბიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) მაკა აფრიამაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ნიკოლოზ ჩუბინიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ლალი აბულაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) საბა დარსაველიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნათია ბალხამიშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - რევაზ მუმლაძის სახელობის ქალაქ ზესტაფონის N7 საჯარო სკოლა:

ა) ლელა ჯაში (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) გოჩა შუბითიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ლია ბოგვერაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) მეგი ტალახაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნონა ბეროშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ნანა კუნჭულია (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ნანა ნოზაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) თეა გაბისონია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ევგენი გუგულაშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ქეთევან ქობალია (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) მაკა ნატროშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალის N1საჯარო სკოლა:

ა) მანანა ალიბეგაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თამარ მშვიდობაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) მზევინარი დარბაისელი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ნინო კილაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) მარიამ კუჭუხიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) დავით კიკაბიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) მორის გუმბარიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) მაია მენაბდე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) მზია დადვანი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ედუარდ ნაკაიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნათია ბრეგაძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ დილიკაურის საჯარო სკოლა:

ა) პაშა გულორდავა (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ვერა ყურულაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) მანანა ცუცქირიძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ბესიკი ბერიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) გვანცა მოლაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ინგა ხრიკაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ნანა ჩავლეიშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ნატო კვეტენაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ნანი სალია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) მარინა ანესაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნათია ბრეგაძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

ა(ა)იპ - თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღი:

ა) ნოდარ ანგურიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ხატია მჭედლიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) რომან გაბუნია (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) შორენა გაგნიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნინო ბურჯანაძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) თამარ დეკანოსიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) თინათინ მარქარაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) თამარ კვანტიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ნანი სალია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ქეთევან ბორაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ეკატერინე კვირკველია (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99 /ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 17-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს

თავმჯდომარე, დავით მალაზონია. საბჭოს სხდომა 2023 წლის 22 სექტემბერს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 15:30 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
საბჭოს თავმჯდომარემ, საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა, სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით, სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წილკნის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ზაზა ბირთველიშვილის სახელობის ქალაქ გორის N7 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ცხრა ძმა ხერხეულიძის სახელობის თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ მარაბდის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - რევაზ მუმლაძის სახელობის ქალაქ ზესტაფონის N7 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - გარდაბნისმუნიციპალიტეტისსოფელსართიჭალის N1საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - ზესტაფონისმუნიციპალიტეტის სოფელ დილიკაურის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. ა(ა)იპ - თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე სახის შუამდგომლობა. დღის წესრიგში ცვლილებასთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი, შესაბამისად, დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. **სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წილკნის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ, დავით

მალაზონიამ, ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მაია ბუაძემ.

ექსპერტმა მაია ბუაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 03 და 04 ივლისს. დაწესებულება მდებარეობდა მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ წილკანში. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულება სწავლას ახორციელებდა დაწყებით, საბაზო და საშუალო ზოგად საფეხურებზე, პროგრამების განხორციელების ენა იყო ქართული. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 450 მოსწავლე, რასაც ექსპერტთა ჯგუფის წევრები ეთანხმებოდნენ.

ექსპერტმა განაცხადა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განახორციელა ინფრასტრუქტურის ადგილზე დათვალიერება, რის შედეგადაც ექსპერტებმა გამოავლინეს სტანდარტებთან მიმართებით რამდენიმე კომპონენტის ხარვეზი. სკოლის მიერ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ აღნიშნული კომპონენტები შეფასდა შემდეგნაირად: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის პირველი სტანდარტი (სკოლის ფილოსოფია) შეფასდა, როგორც ,,მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“ , რადგანაც კომპონენტი 1.1 (სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები) და 1.2 (სკოლის დაგეგმვა და განვითარება) შეფასდა მეტწილ შესაბამისად. მესამე სტანდარტი (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) შეფასდა როგორც ,,ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ვინაიდან კომპონენტები 3.1 (პერსონალის მართვა), 3.4 (ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება) და 3.6 (საინფორმაციო რესურსები) შეფასდა მეტწილ შესაბამისად. მეოთხე სტანდარტი(მოსწავლეთა მხარდაჭერა) შეფასდა შესაბამისად სტანდარტის მოთხოვნებთან, ვინაიდან კომპონენტი 4.1 (მოსწავლეთა უფლებების დაცვა) შეფასდა, როგორც სრული, ხოლო კომპონენტი 4.2(მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონიძიებები), როგორც მეტწილი. მეორე სტანდარტი (სასკოლო კურიკულუმი) შეფასდა მეტწილ შესაბამისად, რადგანაც კომპონენტი 2.2 (კურიკულუმის განხორციელება), შეფასდა მეტწილ შესაბამისად.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა რეკომენდაციები სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი ვადების მიხედვით, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტის განცხადებით, შენობა რეაბილიტირებული იყო მილენიუმის პროექტის ფარგლებში. სკოლაში ფუნქციონირებდა კომპიუტერული ლაბორატორია, ასევე ფიზიკის, ბიოლოგიის და ქიმიის ლაბორატორიები. სკოლას ჰქონდა სრულად აღჭურვილი სამედიცინო ოთახი, რესურსოთახი, ბიბლიოთეკა, სპორტული და სააქტო დარბაზები.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, თუ როგორ ხედავდა სკოლის განვითარებას, რადგანაც სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა.

სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, დიანა გელიტაშვილმა, განაცხადა, რომ სკოლას ჰქონდა სტრატეგიული გეგმის მონახაზი, მაგრამ არ წარუდგენია ექსპერტებისთვის, ვინაიდან შემუშავების პროცესში იყო და მოიცავდა მთელ რიგ პროცედურებს. სკოლამ სტრატეგიული გეგმის დამტკიცების პერიოდი შესაბამისობის გეგმა-გრაფიკში გაწერილი წარმოადგინა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ აღნიშნა, რომ შეფასების სქემის მიხედვით, დაწესებულებისთვის უნდა განსაზღვრულიყო მონიტორინგი 2 წლის ვადაში.
საბჭოს თავმჯდომარემ, კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წილკნის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 450-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11
წინააღმდეგი - 1

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა მხარი არ დაუჭირა სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წილკნის საჯარო სკოლის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს, ვინაიდან სკოლას არ ჰქონდა წარმოდგენილი შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა და მოსწავლეთა უსაფრთხოების თვალსაზრისით, არ მიიჩნია მიზანშეწონილად შენობაში სასწავლო პროცესის განხორციელება.

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წილკნის საჯარო სკოლას (ს/კ: 236087649) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 450 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი წილკანი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი წილკანი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის	საშუალო	ქართული	მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი წილკანი

	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- **მონიტორინგის დაწყების პერიოდი:** 2025 წლის სექტემბრიდან;
- **მონიტორინგის განხორციელების ფორმა:** ექსპერტთა ჯგუფის ადგილზე ვიზიტი;
- **მონიტორინგის ფარგლები:** პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე სტანდარტი.

2. სსიპ-ზაზა ბირთველიშვილის სახელობის ქალაქ გორის N7 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა ირინა დვალმა.
ექსპერტმა განაცხადა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის პირველი (სკოლის ფილოსოფია), მეორე (სასკოლო კურიკულუმი) და მეოთხე (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს, ხოლო მესამე სტანდარტი (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) - როგორც ,,ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“ რადგან 3.1 (პერსონალის მართვა), 3.4 (ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება), 3.5 (მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა) და 3.6 (საინფორმაციო რესურსები) კომპონენტები შეფასდა მეტწილი შესაბამისობით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რის საფუძველზეც ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რეკომენდაციები, ასევე ისაუბრა რჩევების შესახებ, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა, ირინა დვალმა, განაცხადა, რომ სკოლაში ფუნქციონირებდა ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის ლაბორატორიები. ასევე, 2 კომპიუტერული ლაბორატორია. მისი თქმით, აღნიშნული ლაბორატორიები აღჭურვილი იყო შესაბამისი რესურსებით. დაწესებულებას გააჩნდა სპორტული დარბაზი და მოედანი, საკონფერენციო დარბაზი და ექიმის კაბინეტი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ, სთხოვა დაწესებულებას, დაეზუსტებინა, თუ როგორ ზრუნავდა სკოლა მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე. დასმული შეკითხვის

საპასუხოდ, დაწესებულების დირექტორმა, ნოდარ იარღანაშვილმა განაცხადა, რომ სკოლაში იყო თანამშრომლობითი კულტურა. მისი თქმით, მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებდნენ გამოცდილებას.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა, მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ, თუ რატომ უფიქსირდებოდა სკოლას ხარვეზი 3.4.1.1. ინდიკატორთან (სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას) დაკავშირებით, კონკრეტულად: დაწესებულებას არ ჰქონდა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა, ასევე, არ ჰქონდა შესრულებული შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნაში აღნიშნული ყველა რეკომენდაცია. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, სკოლის წარმომადგენელმა ნოდარ იარღანაშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულებამ აღნიშნული ხარვეზი მოაგვარა და მას უკვე ჰქონდა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან დაკავშირებით კი, დაწყებული ჰქონდათ მუშაობა და თანამშრომლობდნენ შესაბამის სტრუქტურასთან.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ზაზა ბირთველიშვილის სახელობის ქალაქ გორის N7 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1200-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ზაზა ბირთველიშვილის სახელობის ქალაქ გორის N7 საჯარო სკოლას (ს/კ: 218018847) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1200 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქ.გორი, გორგასლის ქ.N1

2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქ.გორი, გორგასლის ქ.N1
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქ.გორი, გორგასლის ქ.N1

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის სექტემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ექსპერტთა ჯგუფის ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: მესამე სტანდარტის 3.4. და 3.5. კომპონენტები.

3. სიპ - ცხრა ძმა ხერხეულიძის სახელობის თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ მარაბდის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
აცილება ითხოვა საბჭოს წევრმა მაკა მამფორიამ, რომელსაც აღნიშნულ სკოლასთან ჰქონდა ინტერესთა კონფლიქტი და ვერ მიიღებდა მონაწილეობას განხილვასა და კენჭისყრაში.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნადაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექპერტმა, მედეა ქოქრაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ცხრა ძმა ხერხეულიძის სახელობის თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ მარაბდის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 12 და 13 ივლისს. დაწესებულება მდებარეობდა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, სოფელ მარაბდაში. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლაში ქართველი მოსწავლეების გარდა ირიცხებოდნენ ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოსწავლეებიც, რომელთა ინტეგრაციაზეც სკოლა აქტიურად ზრუნავდა. დაწესებულება სწავლას ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 250 მოსწავლე.
ექსპერტმა,მედეა ქოქრაშვილმა, ისაუბრა სკოლის მატერიალურ რესურსსა და ინფრასტრუქტურის შესახებ. მან აღნიშნა, რომ სკოლის შენობა მდებარეობდა ბაღის შენობაში და მის სარგებლობაში შედიოდა შენობის ეზოში არსებული სპორტული მოედანი.
ექსპერტმა, განაცხადა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის პირველი სტანდარტი (სკოლის ფილოსოფია) შეფასდა, როგორც ,,მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, რადგან კომპონენტები 1.1 (სკოლის მისია, ხედვა და

ღირებულებები) და 1.2 (სკოლის დაგეგმვა და განვითარება) მეტწილად შეესაბამებოდა სტანდარტის მოთხოვნებს. მესამე სტანდარტი (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა), შეფასდა, როგორც ,,ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, რადგან 3.1 (პერსონალის მართვა), 3.4 (ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება) და 3.6 (საინფორმაციო რესურსები) კომპონენტები შეფასდა მეტწილ შესაბამისად. მეოთხე და მეორე სტანდარტი იყო შესაბამისობაში სტანდარტებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი ვადების მიხედვით, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, აღნიშნა, რომ მოცემული სკოლის შემთხვევაში მესამე სტანდარტის (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) 3.4 კომპონენტი (ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება)მნიშვნელოვან საკითხს ეხებოდა, კერძოდ, ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოებას. შესაბამისად მისი გადამოწმება საჭიროებდა ადგილზე ვიზიტს.

საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, საგნობრივ ექსპერტებს მიმართა კითხვით, ხომ არ ქონდათ რაიმე სახის რჩევა ან რეკომენდაცია კურიკულუმებთან დაკავშირებით. ესთეტიკური აღზრდის საგნობრივმა ექსპერტმა, სალომე არაბიძემ აღნიშნა, რომ სკოლის მასწავლებლები წარმატებით ახორციელებდნენ ფორმალური და არაფორმალური განათლების მხარდაჭერას სკოლაში. მათ ასევე ჰქონდათ გამორჩეული და განსაკუთრებული მიდგომები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან. სალომე არაბიძემ ასევე აღნიშნა, რომ სკოლაში იგრძნობოდა თანამშრომლობითი გარემო. უცხოური ენების საგნობრივმა ექსპერტმა, ანჟელა აბულაძემ, გაიზიარა კოლეგის, სალომე არაბიძის, მოსაზრება და დასძინა, რომ სკოლა აქტიურად მუშაობდა მოსწავლეებთან არაფორმალურ გარემოშიც. საბჭოს წევრები დაინტერესდნენ კონკრეტული მაგალითებით აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ექსპერტმა სალომე არაბიძემ ხაზი გაუსვა მასწავლებლების მიერ განხორციელებულ რამდენიმე საინტერესო პროექტს.

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ანა კვიჟინაძემ, კურიკულუმებთან დაკავშირებით განმარტა, რომ სკოლას ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ღონისძიებები ჰქონდა გატარებული, რაც იკვეთებოდა, როგორც ადგილზე წარმოდგენილ დოკუმენტაციებში, ისე ჩატარებულ ინტერვიუებში.

საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, სკოლის წარმომადგენელს მიმართა კითხვით, თუ როგორ ხდებოდა სკოლაში ბიუჯეტის დაგეგმვა და რატომ იყო წარმოდგენილ ბიუჯეტში თვეების მიხედვით განხვავებული მონაცემები. სკოლის დირექტორმა, თამარ ფიჩხულაშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლაში ერთ-ერთ ძირითად პრობლემას წარმოადგენდა გათბობის საკითხი. სწორედ ამ პრობლემის მოსაგვარებლად, სკოლას ხშირად უწევდა ბიუჯეტში ცვლილებების განხორციელება, რაც წარმოადგენდა მნიშვნელოვანი განსხვავებების მიზეზს. აღნიშნულ საკითხზე სკოლის დირექტორმა საბჭოს წევრისგან, მორის დანდურიშვილისგან, მიიღო რჩევა ბიუჯეტის გონივრულად განკარგვასთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა, სკოლის წარმომადგენელს მიმართა კითხვით, რამდენი ხნით ადრე იყო სკოლა ინფორმირებული საავტორიზაციო ვიზიტის თაობაზე და რატომ ვერ მოახერხა სკოლამ მოცემულ დრომდე წარმოსადგენი დოკუმენტაციის სრულყოფილად თავმოყრა. სკოლის დირექტორმა, თამარ ფიჩხულაშილმა, უპასუხა, რომ ავტორიზაციის პროცესების თაობაზე ინფორმირებული იყო დაახლოებით 4-5 თვის წინ. მან ასევე აღნიშნა, რომ მდგრადობის დოკუმენტის მოთხოვნის თაობაზე სკოლამ ივნისის თვეში გააკეთა შესაბამისი განაცხადი და ელოდებოდა პასუხს. რაც შეეხებოდა სახანძრო

უსაფრთხოების პრობლემის მოგვარებას, აღნიშნულზე სკოლა საჭიროებდა გარკვეულ ფინანსურ მხარდაჭერას სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსგან. საბჭოს წევრის, თამარ მამსიკაშვილის კითხვას თანხის მოთხოვნასთან დაკავშირებით შესაბამის სამსახურთან მიწერილობის არსებობის თაობაზე სკოლის დირექტორმა დადებითად უპასუხა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ცხრა ძმა ხერხეულიძის სახელობის თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ მარაბდის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10
წინააღმდეგი - 1

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა მხარი არ დაუჭირა სსიპ - ცხრა ძმა ხერხეულიძის სახელობის თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ მარაბდის საჯარო სკოლის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს, ვინაიდან სკოლას არ ჰქონდა წარმოდგენილი შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა და მოსწავლეთა უსაფრთხოების თვალსაზრისით, არ მიიჩნია მიზანშეწონილად შენობაში სასწავლო პროცესის განხორციელება.

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ცხრა ძმა ხერხეულიძის სახელობის თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ მარაბდის საჯარო სკოლას (ს/კ : 230867041) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 250 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელი მარაბდა
2		საბაზო	ქართული	თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელი მარაბდა

	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელი მარაბდა

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი : 2025 წლის სექტემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა : დოკუმენტაციის წარმოდგენა ცენტრში;
მონიტორინგის ფარგლები: პირველი სტანდარტი, მესამე სტანდარტის 3.1, 3.4, 3.6 კომპონენტები.

4. სსიპ- რევაზ მუმლაძის სახელობის ქალაქ ზესტაფონის №7 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტმა ლელა ჯაშმა. ექსპერტმა, განაცხადა, რომ სსიპ - რევაზ მუმლაძის სახელობის ქალაქ ზესტაფონის №7 საჯარო სკოლაში ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 31 ივლისსა და 01 აგვისტოს, დაწესებულება მდებარეობდა, ქ. ზესტაფონში, რუსთაველის ქ. N6ა-ში. სკოლა ახორციელებდა დაწყებით, საბაზო და საშუალო სახეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს. პროგრამების განხორციელების ენა იყო ქართული. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 1350 მოსწავლე.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკის შესახებ. მისი განმარტებით, სკოლას ჰქონდა ფაბლაბი - საინჟინრო მიმართულების სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია, რომელიც მოსწავლეებს საშუალებას აძლევდა რეალობად ექციათ საკუთარი ინოვაციური იდეები. ლაბორატორიის მიზანი იყო იდეების გენერირება და გამოგონებების შექმნა. ფაბლაბი აღჭურვილი იყო თანამედროვე ციფრული ტექნიკით: 3D პრინტერით, 3D კალმით, ლაზერული მჭრელით, რაც მოსწავლეებს საშუალებას აძლევდა შეექმნათ საკუთარი პროდუქცია.

ექსპერტის განცხადებით, ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განახორციელდა ადგილზე დათვალიერება, ინტერვიუები. წარმოების პროცესში გამოიკვეთა რიგი შეუსაბამობები და რამდენიმე კომპონენტი სკოლის მიერ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შემდეგნაირად შეფასდა:

პირველი სტანდარტი (სკოლის ფილოსოფია) შეფასდა, როგორც ,,მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ვინაიდან ორივე კომპონენტი 1.1(სკოლის მისია ხედვა და ღირებულებები) და კომპონენტი 1.2(სკოლის დაგეგმვა და განვითარება) შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი.

რაც შეეხება მესამე სტანდარტს (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) ექსპერტთა მიერ შეფასდა, როგორც ,,მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, რადგან კომპონენტები 3.3(პროცესების მართვა), 3.4(ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება) და 3.5(მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა) შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი.

ლელა ჯაშის განცხადებით, მეოთხე სტანდარტი (მოსწავლეთა მხარდაჭერა) შესაბამისობაში იყო სტანდარტის მოთხოვნებთან, ვინაიდან ორივე კომპონენტი, 4.1 (მოსწავლეთა უფლებების დაცვა) და 4.2 (მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები) შეფასდა სრულ შესაბამისად.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ იგივე შეფასება ვრცელდებოდა მეორე სტანდარტის (სასკოლო კურიკულუმი) სამივე საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის მიმართაც. ექსპერტთა ჯგუფმა მეორე სტანდარტის ოთხივე კომპონენტი შეაფასა როგორც სტანდარტთან შესაბამისი.

ლელა ჯაშმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისთვის გაცემული იყო რეკომენდაციები სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი ვადების მიხედვით, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა, შეკითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, თუ რა ეტაპზე იყო საგანგებო სიტუაციების გეგმის შემუშავების საკითხი. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, მარეხი ქათამაძემ, აღნიშნა, რომ მდგრადობის დოკუმენტი სკოლას უკვე ჰქონდა და ვიზუალურად წარმოუდგინა საბჭოს წევრებს. ხოლო საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა სკოლას შემუშავებული და გაგზავნილი ჰქონდა შესათანხმებლად შესაბამის უწყებასთან .

საბჭოს წევრი, მორის დანდურიშვილი, დაინტერესდა მეათე კლასის შემაჯამებელი დავალებების რაოდენობით. მან კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, ჰქონდათ, თუ არა ჩატარებული შემაჯამებელი დავალებები მეათე კლასში. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, აღნიშნა, რომ შემაჯამებელი დავალებები ჩატარებული იყო, თუმცა არ იყო ასახული დოკუმენტში, რაც ტექნიკურ ხარვეზს წარმოადგენდა.

საბჭოს წევრი, ზვიად გოგუაძე, დაინტერესდა, ირიცხებოდა თუ არა შეზუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლე სკოლაში და როგორ ხდებოდა მისი ჩართვა სპორტის საგაკვეთილო პროცესში. ამ საკითხთან დაკავშირებით, სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოსწავლე სპეც. მასწავლებელთან ერთად ჩართული იყო სპორტის გაკვეთილებში, თამაშობდა ჭადრაკს, ხოლო გარე სპორტულ მოედანზე ჩატარებული გაკვეთილების პროცესში იგი მოსწავლეებთან ერთად ერთვებოდა შესაბამის აქტივობებში.

საბჭოს წევრმა ზვიად გოგუაძემ, შუამდგომლობა დააყენა საბჭოს წინაშე, პანდუსის მოწყობის შემდეგ სკოლას ცენტრში წარმოედგინა შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი დოკუმენტაცია და ფოტო სურათები.

საბჭოს წევრებმა გაიზიარეს შუამდგომლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - რევაზ მუმლაძის სახელობის ქალაქ ზესტაფონის №7 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1350 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

გადაწყვეტილება: „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, რომ სსიპ - რევაზ მუმლაძის სახელობის ქალაქ ზესტაფონის №7 საჯარო სკოლას (ს/კ: 230053731) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1350 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქ.ზესტაფონი, რუსთაველის ქ.N6ა
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქ.ზესტაფონი, რუსთაველის ქ.N6ა
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქ.ზესტაფონი, რუსთაველის ქ.N6ა

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის სექტემბრიდან;
- მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ექსპერტთა ჯგუფის ადგილზე ვიზიტი;
- მონიტორინგის ფარგლები: მეორე სტანდარტი (სამივე საფეხურისთვის).

საბჭოს გადაწყვეტილებით, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია, 1.1, 1.2 და 3.3, 3.4, 3.5 კომპონენტებთან დაკავშირებით, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, ცენტრში წარმოადგინოს რეკომენდაციების შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებები.

5. სსიპ - გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მანანა ალიბეგაშვილმა. მან განაცხადა, რომ სსიპ - გარდაბნისმუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალის N 1 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 29 და 30 ივნისს.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლა მდებარეობდა შემდეგ მისამართზე: გარდაბანი, სოფელი სართიჭალა, დავით აღმაშენებლის ქუჩა, ჩიხი N2-ში. დაწესებულება ახორციელებდა ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო). პროგრამების განხორციელების ენა იყო ქართული, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 650.
ექსპერტის განაცხადებით, ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განხორციელდა ადგილზე დათვალიერება, ინტერვიუები. წარმოების პროცესში გამოიკვეთა რიგი შეუსაბამობები და რამდენიმე კომპონენტი სკოლის მიერ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შემდეგნაირად შეფასდა:
პირველი სტანდარტის (სკოლის ფილოსოფია) ორივე კომპონენტი 1.1 (სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები) და 1.2 (სკოლის დაგეგმვა და განვითარება) შეფასდა, როგორც სტრანდარტთან შესაბამისი.
რაც შეეხება მესამე სტანდარტს (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) - შეფასდა, როგორც ნაწილობრივ შესაბამისი, 3.1(პერსონალის მართვა), 3.3(პროცესების მართვა), 3.4(ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება). და 3.6(საინფორმაციო რესურსები) კომპონენტების მეტწილად შესაბამისობის გამო.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისთვის გაცემული იყო რეკომენდაციები სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი ვადების მიხედვით, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
მანანა ალიბეგაშვილის განცხადებით, მეოთხე სტანდარტი (მოსწავლეთა მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“ რადგან მისი ორივე კომპონენტი, 4.1(მოსწავლეთა უფლებების დაცვა) და 4.2(მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები) შეფასდა შესაბამისად.

რაც შეეხება მეორე სტანდარტს, (სასკოლო კურიკულუმი) იგი შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, გამომდინარე იქიდან, რომ ოთხივე კომპონენტი: 2.1(კურიკულუმის შემუშავება), 2.2(კურიკულუმის განხორციელება), 2.3(კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება), 2.4(კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია) ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა, როგორც სტანდარტთან შესაბამისი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, აღნიშნა, რომ სკოლის შენობა რეაბილიტირებული იყო მილენიუმის პროექტის ფარგლებში, კეთილმოწყობილი გარე სივრცით, ეზოთი. პრეზენტაციის ფარგლებში ექსპერტმა, ასევე წარმოადგინა სკოლის ფოტო მასალა და აღნიშნა, რომ პირველი სართული იყო ადაპტირებული.

ექსპერტმა განმარტა, რომ ვიზიტის დროს სკოლას მიწერილობა ჰქონდა შესაბამის უწყებასთან შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნის თაობაზე, შესაბამისობის გეგმის ფარგლებში სკოლამ წარმოადგინა აღნიშნული დოკუმენტი. აგრეთვე, დამტკიცებული და წარმოდგენილი ჰქონდა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრი, მაკა მამფორია, დაინტერესდა მეორე სტანდარტთან მიმართებით და შეკითხვით მიმართა საგნობრივ ექსპერტებს, თუ როგორ ხდებოდა კურიკულუმების შემუშავება და თანამშრომლობა კათედრებს შორის. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ისაუბრა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტმა, მზევინარ დარბაისელმა. მან აღნიშნა, რომ სკოლაში იყო თანმშრომლობის მაღალი კულტურა, რაც გამოიხატებოდა კათედრებზე მუშაობით, საგაკვეთილო პროცესზე ურთიერთდასწრებით და გამოცდილების გაზიარებით. სკოლა ასევე ჩართული იყო სხვადასხვა პროექტებში, როგორც ფორმალური და არაფორმალური განთლების კუთხით, ისე პროფორიენტაცის მიმართულებით. სკოლას განხორციელებული ჰქონდა ვიზიტები, რომელიც ხელს უწყობდა მოსწავლეთა დაინტერესებას მომავალი პროფესიის შერჩევაში.

საბჭოს წევრებმა, შალვა მეკრავიშვილმა, ზვიად გოგუაძემ და მორის დანდურიშვილმა შეკითხვებით მიმართეს სკოლის წარმომადგენელს. სკოლის წარმომადგენლები არ ესწრებოდნენ საბჭოს, შესაბამისად პასუხი ვერ იქნა მიღებული. კერძოდ, შალვა მეკრავიშვილი დაინტერესდა რამდენად გაცნობიერებული და გათავისებული ჰქონდა სკოლას საგნობრივი კურიკულუმების განვითარების საკითხი და ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაცემული რჩევები. საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ, დასვა შეკითხვა, რომელ პლატფორმაზე ცხადდებოდა ექიმის ვაკანსია და რატომ ვერ იქნა შერჩეული შესაბამისი კადრი. საბჭოს წევრი, მორის დანდურიშვილი ასევე დაინტერესდა, სკოლის ვებ გვერდის საკითხით თუმცა, ვინაიდან სხდომას დაწესებულების წარმომადგენლები არ ესწრებოდნენ, კითხვა პასუხგაუცემელი დარჩა.

მეორე სტანდარტთან დაკავშირებით, აზრი გამოთქვა მათემატიკის საგნობრივმა ექსპერტმა, მზია დადვანმა. მან აღნიშნა, რომ სკოლას მოწესრიგებული ჰქონდა ყველა საგნობრივი კურუკულუმი, განსაკუთრებით დაწყებით და საბაზო საფეხურებზე, ხოლო საშუალო საფეხურზე, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციების შემდეგ დაკორექტირდა კურუკულუმები და სკოლამ წარმოადგინა სრულყოფილი სახით.

საბჭოს თავმჯდომარემ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალის N 1 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 650-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 11
წინააღმდეგი: 1

საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა განმარტა, რომ ვინაიდან დაწესებულებამ არ ჩათვალა საჭიროდ დასწრებოდა სკოლის ავტორიზაციის განხილვის მნიშვნელოვან პროცესს, იგი იყო წინააღმდეგი აღნიშნულ სკოლას მინიჭებოდა ავტორიზაცია.

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების და 21-ე მუხლის პირველი, მე-2, 2^1 და მე-3 პუნქტების შესაბამისად,სსიპ - გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალის N 1 საჯარო სკოლას (ს/კ: 226526104) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 650 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	გარდაბანი, სოფელი სართიჭალა, დავით აღმაშენებლის ქუჩა ჩიხი N2
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	გარდაბანი, სოფელი სართიჭალა, დავით აღმაშენებლის ქუჩა ჩიხი N2
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	გარდაბანი, სოფელი სართიჭალა, დავით აღმაშენებლის ქუჩა ჩიხი N2

საბჭოს გადაწყვეტილებით, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია, 3.1. 3.3, 3.4 და 3.6. კომპონენტებთან მიმართებით, ორი წლის ვადაში ცენტრში წარმოადგინოს რეკომენდაციების შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებები.

6. სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ დილიკაურის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტმა, პაშა გულორდავამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ-ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ დილიკაურის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 26 და 27 ივლისს. დაწესებულება მდებარეობდა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ დილიკაურში. სკოლა ახორციელებდა დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს. პროგრამების განხორციელების ენა იყო ქართული. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 300 მოსწავლე.
ექსპერტის განაცხადებით, ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განხორციელდა ადგილზე დათვალიერება, ინტერვიუები. ადმინისტრაციული წარმოების პროცესში გამოიკვეთა რიგი შეუსაბამობები და რამდენიმე კომპონენტი სკოლის მიერ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეფასდა შემდეგნაირად:
პირველი სტანდარტი (სკოლის ფილოსოფია) შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ვინაიდან კომპონენტი 1.1 (სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები) და 1.2 (სკოლის დაგეგმვა და განვითარება) შეფასდა სრულ შესაბამისად.
რაც შეეხებაა მესამე სტანდარტს (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) ასევე შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ვინაიდან მხოლოდ ერთი კომპონენტი 3.4. (ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება) შეფასდა მეტწილად.
ექსპერტმა, პაშა გულორდავამ, ასევე ისაუბრა გარკვეულ ინდიკატორებთან მიმართებით გაცემულ რეკომენდაციებსა და რჩევებზე, რომლებიც დასკვნაში დეტალურად იყო გაწერილი.
ექსპერტის განცხადებით, ასევე, სრულ შესაბამისობაში იყო მეოთხე სტანდარტის (მოსწავლეთა მხარდაჭერა) ორივე კომპონენტი, 4.1 (მოსწავლეთა უფლებების დაცვა) და 4.2.(მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები).
რაც შეეხება მეორე სტანდარტის-სასკოლო კურიკულუმის ოთხივე კომპონენტს: 2.1(კურიკულუმის შემუშავება), 2.2(კურიკულუმის განხორციელება), 2.3(კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება), 2.4(კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია) ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა როგორც სტანდარტთან შესაბამისი.
ექსპერტმა, პაშა გულორდავამ ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკის თაობაზე. მისი განმარტებით, დაწესებულება გამოირჩეოდა მაღალი სასკოლო კულტურით, ურთიერთთანამშრომლობით, გამოცდილების გაზიარებით, სკოლის პროგრესზე ორიენტირებული სასკოლო საზოგადოებით. სკოლა იყო ახალი რეაბილიტირებული და ადაპტირებული, ჰქონდა ნათელი ოთახები, დერეფნები და შესაბამისად აღჭურვილი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია. ასევე, სკოლას ჰქონდა სტანდარტთან შესაბამისი სპორტული დარბაზი, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია და რესურსოთახი.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს მდივანი მანანა ჯინჭარაძე დაინტერესდა სკოლაში არსებული წიგნის კლუბის ფუნქციონირებით და მიმართა სკოლის წარმომადგენელს, ესაუბრა კლუბის საქმიანობის შესახებ, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კლუბი ფუნქციონირებდა ძირითადად სახელმწიფო ენის კათედრაზე, მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართული სხვადასხვა ლიტერატურული ნაწარმოებების კითხვასა და განხილვაში, რაც ზრდიდა წიგნიერების დონეს. საბჭოს მდივანმა, რეკომენდაცია გასცა კლუბის წესდებასთან დაკავშირებით, რასაც დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის განმარტებით, სკოლა გონივრულად გამოიყენებდა და გამოასწორებდა ხარვეზს.
რჩევა გასცა ასევე, საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, შრომით ხელშეკრულებებში ასახულიყო სავალდებულო პირობები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის „საჯარო სკოლის დირექტორსა და მასწავლებელს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების სავალდებულო პირობების დამტკიცების შესახებ“ N959 ბრძანების საფუძველზე.
საბჭოს თავმჯდომარემ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ დილიკაურის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 300-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
გადაწყვეტილება: „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების და 21-ე მუხლის პირველი, მე-2, 2^1 და მე-3 პუნქტების შესაბამისად სსიპ-ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ დილიკაურის საჯარო სკოლას (ს/კ: 230078304) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 300 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, სოფელი დილიკაური
2		საბაზო	ქართული	

	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, სოფელი დილიკაური
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, სოფელი დილიკაური

საბჭოს გადაწყვეტილებით, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია, 3.4. კომპონენტთან მიმართებით, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, ცენტრში წარმოადგინოს რეკომენდაციების შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებები.

7. ა(ა)იპ თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებმა, ნოდარ ანგურიძემ და ხატია მჭედლიშვილმა. ექსპერტმა ნოდარ ანგურიძემ აღნიშნა, რომ ა(ა)იპ თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღში ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 03 და 04 აგვისტოს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ თბილისში, თოფურიძის N2-ში. დაწესებულება სწავლებას ახორციელებდა ზოგადი განათლების სამივე საფეხურზე, პროგრამების განხორციელების ენა იყო ქართული. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 460 მოსწავლე.
ექსპერტმა ისაუბრა დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკაზე. მისი აზრით, სკოლა გამოირჩეოდა მშობელთა მაღალი ჩართულობით სასკოლო ცხოვრებაში და ასევე სწავლების მეთოდით, რაც გულისხმობდა ცოდნის პრაქტიკაში ტრანსფერს.
ექსპერტმა ნოდარ ანგურიძემ წარმოადგინა სამი სტანდარტის შეფასება:
პირველი სტანდარტი: სკოლის ფილოსოფია ექსპერტების მიერ შეფასდა მეტწილად შესაბამისად, რადგან ორივე კომპონენტი 1.1 (სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები) და 1.2 (სკოლის დაგეგმვა და განვითარება) შეფასებულ იქნა მეტწილად.
მეორე სტანდარტი: სასკოლო კურიკულუმი, ექსპერტების მიერ შეფასდა როგორც ,,არ შეესაბამება“, რადგან კომპონენტები: 2.1(კურიკულუმის შემუშავება) და 2.2 (კურიკულუმის განხორციელება)შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“, კომპონენტი 2.3(კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება) შეფასდა მეტწილად, ხოლო კომპონენტი 2.4(კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია) სრულ შესაბამისად.

მესამე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობის შეფასება განაპირობა კომპონენტების: 3.1(პერსონალის მართვა); 3.2(პერსონალის განვითარება); 3.4(ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება); 3.5(მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა); 3.6(საინფორმაციო რესურსები) მეტწილად შეფასებამ.
ექსპერტის განმარტებით, მეოთხე სტანდარტი შეფასდა მეტწილ შესაბამისად, რაც განაპირობა 4.1(მოსწავლეთა უფლებების დაცვა) და 4.2(მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები) კომპონენტების მეტწილად შესაბამისობამ.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ისაუბრა სკოლისთვის მიცემულ რეკომენდაციებზე და რჩევებზე, რომლებიც ასახული იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ, კითხვით მიმართა ნოდარ ანგურიძეს პირველ კლასში სსსმ მოსწავლეების ჩარიცხვის წესთან დაკავშირებით.
ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნული დაწესებულების პირველ კლასში მოსწავლის ჩარიცხვის წესის მიხედვით, მშობელს ჩარიცხვამდე უნდა წარმოედგინა მისი შვილის დასკვნა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების თაობაზე. ექსპერტის განცხადებით, სკოლაში ჩარიცხვას კანონმდებლობის შესაბამისად არეგულირებდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის 16/ნ ბრძანება, რომლის თანახმადაც მოსწავლის მშობელი მიმართავდა დაწესებულებას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ მისი შვილის შეფასების მოთხოვნით.
საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, შემდეგი შეკითხვებით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს. კერძოდ, განემარტა სკოლის სახელწოდებაში არსებული სიტყვა „ბაღის“ და ვებგვერდის მისამართის საკითხი. საბჭოს წევრმა დასძინა, რომ სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმაში მითითებული იყო ვებგვერდის განსხვავებული მისამართი. გარდა ამისა, რეალურად მოქმედ ვებგვერდზე განთავსებულ ბმულებს ჰქონდა ტექნიკური ხარვეზი. მის მიერ დასმული მესამე შეკითხვა მდგომარეობდა შემდეგში: დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმის მე-12 მიზნის განხორციელების პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულ სტრუქტურულ ერთეულად მითითებული იყო „სკოლის გაძღოლის კონფერენცია“. საბჭოს წევრი დაინტერესდა, თუ რას გულისხმობდა სკოლა აღნიშნულთან დაკავშირებით.
სკოლის სასწავლო პროცესის კოორდინატორმა, მანანა ჯავაშვილმა, განმარტა, რომ დაწესებულებას დაფუძნების მომენტში ჰქონდა ბაღის შექმნის სურვილიც, რამაც განაპირობა სკოლის სახელწოდებაში სიტყვა ,,ბაღის“ არსებობა, თუმცა აღნიშნულის განხორციელება ვერ მოხერხდა. მანანა ჯავაშვილმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მიმდინარე პერიოდში, სკოლის შენობაში იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე ფუნქციონირებდა სხვა იურიდიული პირიც, რომლის სახელწოდებაც ასევე იყო „ვალდორფის ბაღი“.
საბჭოს წევრი, მაკა მამფორია დაინტერესდა, გამიჯნული იყო თუ არა ბაღი სკოლის შენობისგან. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სკოლა ფლობდა ორ შენობას, ხოლო ერთი შენობის პირველ სართულზე განთავსებული იყო ბაღი ცალკე შესასვლელითა და ეზოთი.
საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ, დაადასტურა, რომ სკოლის სახელწოდება იყო შეცდომაში შემყვანი და ეწინააღმდეგებოდა მეწარმეთა შესახებ კანონს.
სკოლის წარმომადგენელმა კვლავ დააზუსტა, რომ დაწესებულებას დაარსების პერიოდში ჰქონდა ბაღის შექმნის სურვილი, რამაც განსაზღვრა სკოლის სახელწოდება.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, დაწესებულების ტერიტორიაზე მოქმედი საბავშვო ბაღის სახელწოდებით.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნულთან დაკავშირებით, განმარტა, რომ ბაღის სახელწოდება იყო „აღზრდის ხელოვნება, ვალდორფის ბაღი“. რაც შეეხება, სკოლის სახელწოდებაში არსებულ სიტყვას „თავისუფალი“, დაწესებულების სასკოლო საზოგადოებისთვის ზემოხსენებულ ცნებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. .

საბჭოს მდივანმა, მანანა ჯინჭარაძემ, დასძინა, რომ სკოლის სახელწოდება იყო შეუსაბამო და დაწესებულებას უნდა ეზრუნა სახელწოდების ცვლილებაზე.
სკოლის წარმომადგენელმა ისაუბრა „გაძღოლის კონფერენციის“ თაობაზე და განმარტა, რომ აღნიშნული წარმოადგენდა მმართველ ორგანოს, რომელიც იღებდა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს სკოლაში მიმდინარე ძირითად პროცესებთან დაკავშირებით, ვინაიდან სკოლას არ ჰყავდა მუდმივი დირექტორი. მანანა ჯავაშვილმა დააზუსტა, რომ ძველი ვებგვერდი არ ფუნქციონირებდა და ახალი ვებგვერდის შექმნის შემდეგ განხორციელდა მისამართის ცვლილება სტრატეგიული განვითარების გეგმაში.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა, მიმართა შეკითხვით სკოლის წარმომადგენელს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის დოკუმენტის შესახებ, რომელიც სკოლას არ ჰქონდა შეთანხმებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. მან ასევე შეახსენა სკოლის წარმომადგენელს წინა სხდომაზე განხილული ხარვეზები, რომლებიც ეხებოდა სკოლის სახელწოდებაში არსებულ შეუსაბამობას.
დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ ზემოხსენებული წესი შეთანხმდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულთან სხდომამდე რამდენიმე დღით ადრე და სკოლა გეგმავდა ცვლილებების განხორციელებას დოკუმენტში რეკომენდაციების საფუძველზე.
მეორე სტანდარტი (სასკოლო კურიკულუმი) წარმოადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ხატია მჭედლიშვილმა. მან ისაუბრა ხარვეზებისა და ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციების თაობაზე.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა შეკითხვით ექსპერტს, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას განსხვავებული უნიკალური კურიკულუმი.
ექსპერტმა, ხატია მჭედლიშვილმა, დაადასტურა, რომ სკოლას ნამდვილად გააჩნდა განსხვავებული კურიკულუმი, თუმცა მას არ ჰქონდა სტრუქტურირებული სახე.
ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ, დააზუსტა, რომ დაწესებულების კურიკულუმები ეფუძნებოდა მეორე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმას.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განმარტა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა და საათობრივი ბადის მესამე მოდელი სრულ თავისუფლებას ანიჭებდა სკოლებს.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, განაცხადა, რომ მიმდინარე პერიოდში დაგეგმილი სიახლეების საფუძველზე მნიშვნელოვანი იყო სკოლების პროგრამული თავისუფლების შენარჩუნება საფეხურების შედეგებისა და მიზნების გათვალისწინებით.
მათემატიკის საგნობრივმა ექსპერტმა, ნანი სალიამ, განმარტა, რომ სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა მხოლოდ საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმები და შეფასების კრიტერიუმები.
ა(ა)იპ თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღის მოსწავლის მშობელმა ისაუბრა დაწესებულების დემოკრატიულ ღირებულებებზე. მან განმარტა, რომ სკოლა გამოირჩეოდა მშობელთა მაღალი ჩართულობით სასკოლო ცხოვრებაში, ასევე დაეთანხმა საბჭოს წევრებს, რომ სასწავლო პროგრამები საჭიროებდა ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები სკოლასთან.
საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
დაწესებულების წარმომადგენელმა შუამდგომლობით მიმართა ავტორიზაციის საბჭოს დაწესებულებისთვის ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო საბჭოს სხდომის ჩატარების დღეს, 2023 წლის 22 სექტემბერს, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის უწყვეტობის მიზნით. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11
წინააღმდეგი - 1

საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ განმარტა, რომ იგი ეწინააღმდეგებოდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს, რადგან სკოლის სახელწოდება არ იყო შესაბამისობაში მოქმედ კანონმდებლობასთან.

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2, მე-4 და მე-11 პუნქტების, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღს (ს/კ:203827083) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 460 - ით. საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2023 წლის 22 სექტემბერს. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქ. თბილისის, თოფურიას ქ. N2
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქ. თბილისი, თოფურიას ქ.N2
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქ. თბილისი, თოფურიას ქ.N2

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- **მონიტორინგის დაწყების პერიოდი:** 2025 წლის სექტემბრიდან;
- **მონიტორინგის განხორციელების ფორმა:** ექსპერტთა ჯგუფის ადგილზე ვიზიტი;
- **მონიტორინგის ფარგლები:** პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე სტანდარტი.

დღის წესრიგით გათალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, საბჭოს სხდომა 19:45 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით





სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა